



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 1401

2016 წლის 12 დეკემბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N37 და 2016 წლის 7 ოქტომბრის N49 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

**მუხლი 1.** გადაეცეს დროებით სარგებლობაში - სასყიდლიანი იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აფენში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საძოვარი) ს/კ 54.19.57.033, აფენისა და ლელიანის მოსახლეობას.

**მუხლი 2.** დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს ნინო ბატიაშვილს, ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ქონების გადასაცემად ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება.

**მუხლი 3.** დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსს გიორგი ჩალათაშვილს მხარესთან ხელშეკრულების გაფორმება და დადებულ ხელშეკრულებაზე კონტროლი.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**მუხლი 5.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია